

საპენსიო სისტემაში არარეგისტრირებული კომპანიები დაჯარიმდებიან



კომპანიებს, რომლებიც საპენსიო სისტემაში არ არეგისტრირდებიან, სანქციები დაეკისრებათ.

კანონით გათვარისწინებული სანქციებით კომპანია პირველ ჯერზე 500 ლარით, ხოლო დარღვევის გამოუსწორებლობისთვის 1000 ლარით დაჯარიმდება. ამ ეტაპზე სააგენტოში მონაცემთა ანალიზი მიმდინარეობს, რომლითაც სისტემაში დაურეგისტრირებელი კომპანიები გამოვლინდება.

გარდა ამისა, როგორც “საპენსიო სააგენტოში” აცხადებენ, იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი საკუთარი 2%-იანი საპენსიო შენატანის გადახდას დასაქმებულს აკისრებს და ამის ხარჯზე ანაზღაურებას უმცირებს, მოქალაქეებს შეეძლება წერილობით მიმართონ სააგენტოს, რის შემდეგაც სამართლებრივი დავა დაიწყება და სამართადარღვევის შემთხვევაში კომპანია დაჯარიმდება.

imedinews.ge